სადოქტორო პროგრამის დასახელება: ხელოვნებათმცოდნეობა

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ზაზა სხირტლაძე

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება
პროგრამის მიზანი - ინდივიდუალური პროგრამის მიზანია ჩამოაყალიბოს ფართო ერუდიციის მქონე მეცნიერ-სპეციალისტი. იგი უზრუნველყოფს პროფესიული ცოდნის მიღებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში, უძველესი დროიდან დღემდე, ხელოვნების სხვადასხვა დარგების ფლობას. პროგრამა ინოვაციური და ინტერდისციპლინარული ხასიათისაა. იგი მოიცავს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ყველა ასპექტს - როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებს; ამასთანავე, მასში გათვალისწინებულია როგორც ვიწრო სპეციალიზირებული, ისე ზოგადკულტუროლოგიური დისციპლინები

დოქტორანტებს შესაძლებლობა ეძლევათ განავითარონ სამეცნიერო-კვლევითი უნარჩვევები, მოემზადონ სამეცნიერო კვლევითი და პედაგოგიური მუშაობისათვის შესაბამის დაწესებულებებში.

დოქტორანტურის პროგრამა ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში გამიზნულია ქართველი სპეციალისტების ინტეგრაციისათვის თანამედროვე დასავლეთის სამეცნიერო და სახელოვნებო სივრცეში. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

დოქტორანტურის პროგრამაზე მიღების წინაპირობები - სადოქტორო პროგრამა განსაზღვრულია ასპირანტებისა და მაძიებლებისათვის, რომლებზეც მოქმედებს გარდამავალი დებულებები. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის და საზღვარგარეთ სტაჟირების გამოცდილების ქონა სასურველია, მაგრამ არ არის სავალდებულო. კონკურსანტმა უნდა განსაზღვროს სადოქტორო პროგრამის თემატიკის ფარგლებში მისი მომავალი სამეცნიერო ინტერესების სფერო.
სამუშაო გამოცდილების ქონა არ არის სავალდებულო. ჩატარდება გასაუბრება სპეციალობაში. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- საკანდიდატო მინიმუმების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- რომელიმე ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) B-2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მაძიებელს მოეთხოვება გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში ზემოთ აღნიშნული ცოდნის დონის შესაბამისი ფორმატით.

დასაქმების სფეროები

- ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტს შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, საშუალო ან სპეციალიზირებულ სკოლებში, სამუზეუმო, საგამოფენო, საარქივო, ტურისტულ ორგანიზაციებში, მედია სივრცეში, აგრეთვე ყველა იმ სფეროში, სადაც საჭიროა ხელოვნებათმცოდნის მაღალი კვალიფიკაცია. ამასთანავე როგორც ექსპერტი, იგი შეიძლება დასაქმდეს როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში. მისი კომპეტენციის სპექტრი შეიძლება მოიცავდეს მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა სფეროს, სახელმწიფო პოლიტიკას ამ სფეროებში, მედიაპოლიტიკას კულტურასა და, კერძოდ, ხელოვნებაში, თანამედროვე საზოგადოებაში მხატვრული მემკვიდრეობის კვლევასთან და მართვასთან დაკავშირებული სტრატეგიული პრობლემების დამუშავებისას.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულების ბაზაზე.

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებას გააჩნია:

- კაბინეტი (ფართი 26 მ2);
- კაბინეტთან არსებული ვ. ჯობაძის სახელობის ბიბლიოთეკა (ფართი 37 მ2);
- აუდიტორია (ფართი 35 მ2).

ტექნიკური აღჭურვილობა

- ორი კომპიუტერი (აქედან ერთი ჩართულია ინტერნეტში) და ორი სკანერი; ტელევიზორი; ვიდეო მაგნიტოფონი; დიგიტალური კამერა; სამი სლაიდოსკოპი; საილუსტრაციო მასალის საჩვენებელი აპარატი (ოვერჰედად); ორი ეკრანი.
- სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ლიტერატურის და სხვა მასალის მოპოვებას მაგისტრი შეძლებს ვ. ჯობაძის სახ. ბიბლიოთეკაში, სადაც დღეისათვის დაცულია 5000 ერთეული. ბიბლიოთეკის შევსება სისტემატურად მიმდინარეობს.
- მიმართულებას გააჩნია კერძო კოლექციები: ცნობილი რუსი ხელოვნებათმცოდნის ნ. რომანოვის (3000 ერთეული); ამერიკაში მცხოვრები ქართველი ხელოვნებათმცოდნის ვ. ჯობაძის ბიბლიოთეკის კოლექციის ნაწილი (წიგნების გადმოგზავნა გრძელდება).
- ბიბლიოთეკაში დაცულია სლაიდები (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან); ვ. ჯობაძის მიერ გამოგზავნილი უნიკალური სლაიდების ნაწილი (სლაიდების გადმოგზავნა გრძელდება).

დოქტორანტების რაოდენობა - არსებული რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 7 დოქ-ტორანტის მიღება.

პროგრამაში ჩართული იქნებიან შემდეგი პროფესორები: ზაზა სხირტლაძე - სრული პროფესორი. მოწვეული პროფესორები მაია ციციშვილი, ირინა მირიჯანაშვილი, თეა ურუშაძე